F 42489
3

F 42489
3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა
ЭКОНОМИКА
ΟΙΚΟΝΟΜΙΚΗ

V

პაატა გუგუშვილი
აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

(ცალკე ამონაბეჭდი)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი — 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

F 42489
3

ეკონომიკა
ЭКОНОМИКА
OIKONOMIKH

V

პაატა გუგუშვილი
აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

(ცალკე ამონაბეჭდი)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1973

რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. გუგუშვილი

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი

„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა".
ივ. ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილი მეცნიერად იყო დაბადებული და მეცნიერებათა შორის ყველაზე უნივერსალური სფერო — ისტორია, სიჭაბუკიდანვე შეიქნა მისი უკიდეგანო გატაცების საგანი.

თავის შემოქმედებითი მუშაობის სიჭარმაგეში იგი წერდა:

„სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია"[1].

და რამდენადაც მეცნიერების საბოლოო მიზანი ხალხის სამსახურია, ბუნებრივია, რომ სათანადო ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა „მეცნიერებას შესწიროს მთელი თავისი ძალღონე და გადაუხადოს სამაგიერო იმ ქვეყანას, იმ სახელმწიფოს, რომელმაც შეუქმნა მას შესაფერი პირობები მეცნიერული მუშაობისათვის"[2].

ასეთია, თვით მისივე სიტყვებით. ივ. ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერის მრწამსი.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა ქ. სიღნაღში, 1876. IV. 11 (23). მამა ალექსანდრე ჯავახიშვილი მასწავლებელი იყო. მას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებისათვის (თუშ, I (138), 1971, გვ. 17).

[2] იქვე, გვ. 18.

ფიული სტატია, რომელთაგან აღსანიშნავია „Город Гори“ („Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, 1883, № 2, Тифлиси) ივანეს დედა იყო სოფიო ვახვახიშვილი.

1885 წ. ივანე თბილისის პროგიმნაზიაში შეიყვანეს. 1888—1895 წწ. იგი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, სადაც, ცხადია, ქართული მწერლობა, კულტურა, ქართველი ხალხის ისტორია არა თუ პატივისცემით არ სარგებლობდა, არამედ, მეტ-ნაკლები ზომით, ყოველთვის იდევნებოდა.

ასეთ პირობებში, ივანე ჯავახიშვილის მეგობრის ივანე ნიჟარაძის მოგონებით, „შეგნებული ქართველი ახალგაზრდობა დამოუკიდებლად სწავლობდა თავის ენასა და კულტურას, მათ შორის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ვანო. მას უკვე გიმნაზიაში ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე შევიდოდა... ჩემის თვალით მინახავს, როგორ ცდილობდნენ ძმები — ვანო, გიორგი, მიშა და დათა — უფრო ადრე წაეკითხათ შინ მიტანილი ქართული ჟურნალ-გაზეთები, ვიდრე შეუდგებოდნენ გიმნაზიის გაკვეთილების შესწავლას“.

ივანე ჯავახიშვილი გიმნაზიაშივე გატაცებულია ისტორიით. იგი აქ კითხულობს რეფერატებს — საქართველოში ანდრია მოციქულის მოგზაურობისა, ინგლისის ცივილიზაციის ისტორიკოსის ჰენრი ბოკლის შეხედულებათა შესახებ და სხვ. გიმნაზიის დირექციის დახასიათებით ივ. ჯავახიშვილი „არის მშვიდი, თავაზიანი, რის გამოც ყველას უყვარს. ჯავახიშვილი დაჯილდოებულია ბუნებრივი ნიჭით, ამასთანავე ძლიერ შრომისმოყვარე და ბეჯითია.. ფრიად ნაკითხია. კარგად უკრავს ვიოლინოს და ამით გატაცებულია“.

1895 წ. ივ. ჯავახიშვილი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც სპეციალობად ირჩევს საქართველოსა და სომხეთის ისტორიას. აქ მაშინ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, პროფესორები ალ. ცაგარელი და ნ. მარი. ბუნებრივია, რომ ივ. ჯავახიშვილი ამათი მსმენელი და მოწაფე უნდა გამხდარიყო.

1899 წელს ნ. მარის შუამდგომლობის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დადგენილებით დატოვებულ იქნა აქ საპროფესოროდ მოსამზადებლად. უფრო ადრე, 1898 წ. ნაშრომისათვის—„ანდრია

მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

მალე პეტერბურგში ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით, უმთავრესად სტუდენტებისაგან, შეიქმნა ქართული სათვისტომო, რაც თავის წევრთა შორის ეროვნული გათვითცნობიერების, ქართული კულტურის პოპულარიზაციის, ქართული ბეჭდვითი სიტყვის გავრცელებისა და სხვ. საქმეს ემსახურებოდა. აღსანიშნავია ერთი დეტალი. ამ დროს პეტერბურგში მოღვაწეობდა სახელმოხვეჭილი ქართველი მეცნიერი, ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი. მან ქართული ცუდად იცოდა. და აი მას ფოსტით ეგზავნება ქართული ჟურნალ-გაზეთები. დაინტერესებულს, თუ ამათ ვინ და რად უგზავნიდა, მიუვიდა ბარათი: „ყოველი ქართველი მოვალეა იცოდეს ქართული და საკუთარ პრესას კითხულობდესო“... უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ხდება იმ დროს, როდესაც არა თუ პეტერბურგში, თვით თბილისში, საქართველოში ქართველი, არისტოკრატიული ინტელიგენციის დიდი ნაწილი მწყრალად იყო ქართულზე.

1901 წ. იანვარს ივ. ჯავახიშვილი წარმატებით აბარებს სამაგისტრო გამოცდას და მერმე სამეცნიერო მივლინებით მიდის გერმანიაში, ბერლინში. აქ მუშაობის დროს მან გერმანულად თარგმნა და გამოაქვეყნა „ევსტატი მცხეთელის ცხოვრება“ და, პროფ. კ. შულტთან ერთად, იოანე საბანიძის „აბო თბილელის წამება“.

1902 წელს ივ. ჯავახიშვილი ნ. მართან ერთად მიემგზავრება სინას მთაზე, სადაც მათ აქამდე მეცნიერებისათვის უცნობი მრავალი ქართული ხელნაწერები აღმოაჩინეს, გადაიწერეს, ფოტოპირები გადაიღეს, ჩამოიტანეს და მერმე გამოსცეს, რაც ქართული ისტორიული მწერლობის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენდა.

1903 წლიდან ივ. ჯავახიშვილი უკვე ლექციების კითხვას იწყებს პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1907 წ. მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“.

ამავე 1907 წ. ივ. ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. 30 წლის შემდეგ თვით ივ. ჯავახიშვილი იგონებს, რომ ეს „თითქოს სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად. მოხსენებები იწერებოდა ქართულად სხვა-

დასხვა დარგიდან; — კამათი, მსჯელობა ქართულად წარმოებდა
და ვარჯიში დაიწყო, ენა გაიკვეთა ახალგაზრდობამ და განუვითარ-
და ქართული მეტყველების უნარი, რომელიც მანამდე არ ქონდა".

გარდა იმისა, რომ სტუდენტთა ამ წრემ ივ. ჯავახიშვილის ხელ-
მძღვანელობით შეადგინა და გამოსცა ქართული პერიოდული პრე-
სის ბიბლიოგრაფია, დაბეჭდა თვით სამეცნიერო წრის წევრთა ნა-
წერების კრებული, სადაც მოთავსებულია ნარკვევები საქართვე-
ლოს ისტორიის, ეკონომიკის, ქართული ხელოვნების, სამართლისა
და სხვ. საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, 1910 წელს, მომავალი
ქართული უნივერსიტეტისათვის გაბედულ ოცნებათა საფუძველზე,
ამ წრემ ანკეტების საშუალებით მოაწყო „აღწერა ყველა (ქართვე-
ლი — პ. გ.) სტუდენტისა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ".
გამოირკვა, რომ, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი აცხადებს, „სა-
ქართველოს 1000-ზე მეტი სტუდენტი ჰყავს სხვადასხვა დარგზე".
ამგვარადვე შეკრებილი მონაცემებით ამ დროს 30-მდე ქართველი
მეცნიერი მოღვაწეობდა რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსი-
ტეტებში. ყოველივე ეს იმის შესახებ მეტყველებდა, რომ უკვე არ-
სებობდა თბილისში უნივერსიტეტის შექმნის შესაძლებლობა...

1900-იან წლებში. თვით პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე,
გარდა იმისა რომ პეტერბურგში ეწეოდა მჩქეფარე სამეცნიერო და
პედაგოგიურ მოღვაწეობას, ივ. ჯავახიშვილი ხშირად ჩამოდიოდა
საქართველოში და აქ კითხულობდა ლექციებს საქართველოს ის-
ტორიის, ქართული ცივილიზაციის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე.
თანამედროვეთა ჩანაწერები და იმდროინდელი პრესის ცნობები
მოწმობენ, რომ ეს ლექციები ყოველთვის დიდ და დადებით რე-
ზონანსს იწვევდა ქართულ საზოგადოებრიობაში...

ასე გამოვიდა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვი-
ლი ფართო სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღ-
ვაწეობის სარბიელზე.

* * *

ივ. ჯავახიშვილისათვის მეცნიერული მოღვაწეობა, მეცნიე-
რების ორგანიზაციისათვის ზრუნვა იყო მისი სიცოცხლის აზრი და
არსი, მისი სასიცოცხლო მოწოდება და მისწრაფება. იგი სიყრმი-
დანვე აიყოლია ქართველი ერის ბედმა და ისტორიამ და მთელი
თავისი ქარტეხილებიანი ცხოვრება, ნიჭი, უნარი და შესაძლებლო-
ბანი მან უზადოდ და გულსრულად შესწირა ამ მიზანს;

— მიზანს, რომლის წინაშე ივ. ჯავახიშვილი ყოველთვის მთლიანი და გაუბზარავი იდგა, მაშინაც, როდესაც ბრწყინვალე გამარჯვებებს ზეიმობდა და გარს ეხვია თაყვანისმცემელთა აღტაცება და სიხარული და მაშინაც, როდესაც უგულებელყოფილი და მიტოვებული, თავის სამუშაო ოთახში იჯდა და გულჩათხრობილი ქართველი ხალხის დიად ცხოვრებას იკვლევდა და აღწერდა, რისი სრული შესაძლებლობაც, უნდა ითქვას რომ მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ჰქონდა.

ქართველი ერის სამსახურში იგი ყოველთვის მტკიცე და განუხრელი იყო, რამდენადაც, როგორც მის მიერ დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ოცი წლისთავის საზეიმო სხდომაზე, 1938 წ. 25 მაისს, აცხადებდა:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას ვერაფერი შეაკავებს, მკვდრეთით აღსდგა ის მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოდან მიკვდინებული იყო.

ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს შესაძლებელი იყო ასეთ მოკლე პერიოდშიო?“, — განცვიფრებული კითხულობდა იგი.

— დიახ, საბჭოთა, სოციალისტური საქართველოს პირობებში „მკვდრეთით აღდგა ის მეცნიერება და კულტურა“, რომლის აღორძინებასა და აყვავებას შეალია ივ. ჯავახიშვილმა თავისი ულეველი ენერგია და უდიდესი შემოქმედებითი ნიჭიერება.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღეებში (23.I.18 წ.), ცნობილი ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა:

„ივანე ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდედობა, თვით ქართული მძიმე სახვნელი გუთნისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ“.

პეტრე მელიქიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, 1924 წ. აცხადებდა:

„ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება“.

ამგვარად, ივანე ჯავახიშვილი შეიქნა მე-20 ს. პირველი მეოთხედის ქართული კულტურისა და მთელი ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარის — თბილისის უნივერსიტეტის მთავარი ფუძემდებელი და ორგანიზატორი.

ივ. ჯავახიშვილმა თავის მცირერიცხოვან თანამებრძოლებთან ერთად წარმატებით ისარგებლა ოქტომბრის დიდი რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით და ყოველივე გააკეთა იმისათვის, რათა დროულად ჩაეყარა საძირკველი ქართული უმაღლესი განათლების და მეცნიერების ამ დიდებული ტაძრისათვის.

აქ უპრიანია მოვიხსენიოთ ადამიანები, რომლებიც გვერდით უდგნენ მას ამ დიად ბრძოლაში, დიახ, ამ ეპოპეას ივანე ჯავახიშვილმა თვით უწოდა „ბ რ ძ ო ლ ა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის“;

ეს ადამიანები იყვნენ იმ დროის გამოჩენილი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები: პეტრე მელიქიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, და სხვ.

აგრეთვე მაშინ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ დიდი მომავლის მქონე მეცნიერები: ი. ყიფშიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე. ასეთი იყო თვით უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების მიერ გამოყოფილი აკადემიური კომისიის შედგენილობაც[3].

არსებობის პირველსავე წლებში თბილისის უნივერსიტეტის პროფესურას ამშვენებდნენ: ა. ბენაშვილი, ალ. ცაგარელი, ს. ავალიანი, ი. აბულაძე, ა. თვალჭრელიძე, ა. ნათიშვილი, ვ. მოსეშვილი, ზ. ქურდიანი, ს. ამირეჯიბი, ივ. ბერიტაშვილი და სხვ.

ივ. ჯავახიშვილი უაღრესად ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის ღრმა ცოდნამ მის წინაშე მაღლა ასწია მძიმე ფარდა, რაც ქართველი ხალხის თვითმყოფური და სასიქადულო კულტურის დიდებულ ძეგლებსა და მიღწევებს ფარავდა და საქვეყნოდ გამოამზეურა და ააფრთიანა მამაპაპათა ნაამაგარი.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართველი ხალხის ისტორიის აღდგენა, ეს ნამდვილად იყო ერის გამოცოცხლება, რაც მისთვის უკეთესი მომავლის გზების დასახვას მოასწავებდა.

ივ. ჯავახიშვილს კარგად ქონდა შეგნებული და გააზრებული დიდებული ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომ:

— „აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა. აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“.

---

[3] იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968, გვ. 417.

ივანე ჯავახიშვილის მთელი მეცნიერული კვლევა-ძიება სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რათა აღედგინა საქართველოს ნამდვილი ისტორია, ეჩვენებია მისი ბურუსით მოცული წარსული დიდება და ბრწყინვალება, რათა ამგვარად გამოცოცხლებულ ერს იმედიანად დაესახა თავისი ბედნიერი მომავლის პერსპექტივები.

ძნელად თუ შეიძლება კაცმა დაასახელოს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პრობლემა, უძველესი დროიდან მოყოლებული მე-19 საუკუნემდე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი არ შეხებოდეს, რაც მის მადლიან კალამს ასე თუ ისე არ გაეშუქებინოს, ანდა, რაზედაც ფუძემდებლური მონოგრაფიები არ დაეწეროს.

მაინც მისი მეცნიერული კვლევა-ძიების სადემარკაციო ხაზი მისი უმთავრესი თხზულების „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს“ სამანებს მიყვება. ყველა დანარჩენი მისი გამოკვლევების უმრავლესობა ამ მთავარი პრობლემის გარშემო ლაგდებიან, მის შენაკადებს, მის განშტოებებს წარმოადგენენ:

ასეთებია, მაგალითად:

ქართველი ერის ისტორიის შესავალი:

საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ეთნოლოგიური პრობლემები.

ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინად ახლა:

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა;

ქართული პალეოგრაფია;

ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგია;

ქართული დიპლომატიკა;

საქართველოს ეკონომიკური ისტორია;

ქართული სამართლის ისტორია;

მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის;

ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები;

ძველი სომხური საისტორიო მწერლობა;

საქართველოს საზღვრები;

ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები და სხვ. და სხვ.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი აქ მოყვანილი სახელწოდების თხზულება რამდენიმე ტომადაა გამოცემული; რიგი მათგანი მას დაუმთავრებელი დარჩა და ქვეყნდება მისი გარდაცვალების შემდეგ.

ივანე ჯავახიშვილის ჭეშმარიტად გასაოცარი ერუდიცია, მრავალმხრივი დაკვირვებისა და კვლევის უდიდესი ენერგია მიმართული იყო, არა მხოლოდ ისტორიულ მოვლენათა შესწავლისათვის მანამდე გამოვლენილი და გამოცემული წყაროებისა და მასალების ახლებურად გაშუქებისაკენ;

ამავე დროს მას ბედმა არგუნა ყოფილიყო ქართული კულტურის ისტორიის მანამდე უცნობი პირველხარისხოვანი წყაროების, მათ შორის დიდმნიშვნელოვანი ხანმეტი ძეგლების აღმომჩენი, მათი ტექსტის დამდგენი და გამომცემელი, ისევე როგორც რიგი ადრე გამოცემული ძეგლის კრიტიკული ტექსტის დამდგენიც (იხ., მაგალითად, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა).

ასე რომ, მისი დიდი მეცნიერული დიაპაზონი მოიცავდა ისტორიის თვით წყაროების გამოვლინებისა და გამოცემის და, შემდეგ, მთელი არსებული ქართული თუ უცხოური ისტორიული მწერლობის, ენათმეცნიერული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვ. სახის მასალათა საფუძველზე ქართველი ხალხის ისტორიის საკვანძო მოვლენათა და საერთოდ მთელი ისტორიული განვითარების თანმიმდევრული პროცესის ახალ, მაღალ, თანამედროვე მეცნიერების შესაბამის დონეზე მონოგრაფიული გაშუქების ამოცანათა გადაჭრას.

ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიის პრობლემებს აშუქებდა და წარმოაჩენდა არა მხოლოდ როგორც სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, წარმოებრივი განვითარების პროცესებს, არამედ ამასთანავე, იკვლევდა ქართული კულტურისა და საერთოდ ცივილიზაციის სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, იდეოლოგიურ, მორალურ ასპექტებს. აქ საკმარისია დავასახელოთ მისი ნაშრომები საერთოდ ქართული მწერლობის, კერძოდ რუსთაველის, აგრეთვე ქართული მუსიკის, ხუროთმოძღვრების, დამწერლობათმცოდნეობის, სიგელთამცოდნეობის, ტანისამოსის, შრომის იარაღებისა და ორგანიზაციის, ადამიანის პიროვნების (იხ. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში) პრობლემათა შესახებ.

ჭეშმარიტად ფართო იყო მისი შემოქმედებითი შრომის დიაპაზონი, ასევე დიდი იყო და დამსახურებულიც მისი როგორც მეცნიერის, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის რეზონანსიც.

მას: თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელს, ქართველი ხალხის გმირული ისტორიის თავდადებულ მკვლევარს და მესიტყ-

ვეს, ქართული მეცნიერების სინდისსა და დიდებას, ქართველი ინტელიგენციის ალამდარს, სასიქადულო მამულიშვილს უწოდებდნენ და ასეც იცნობდნენ საქართველოს ყველაზე მივარდნილ კუთხეებშიც. იგი სიცოცხლეშივე ხალხმა იწამა როგორც ეროვნული გმირი.

აღსანიშნავია, მაინც ერთი შტრიხი. 1938 წ. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იმავე წელს (9 ივლისს) გაზ. „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში იგი, სხვათა შორის, აცხადებს:

„...რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, ჩემი მთელი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შევსწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალღონე მსურს ვიხმარო ამავე საკითხის გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეშვენის".

ამგვარად, როგორც არ უნდა ყოფილიყო, მისი პრაქტიკული მოღვაწეობის გვირგინსა და სიამაყეს, მისივე გაგებითაც, თბილისის უნივერსიტეტი წარმოადგენდა.

*

1961 წ. 26 იანვარს ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ჩემი გამოსვლა ამ სიტყვებით დავიწყე:

„ისე მოხდა, რომ ჯერჯერობით დრო ვერ გამოვნახე მოვიხადო უდიდესი ვალი, რაც კი მოწაფეს მასწავლებლისა და უფროსი მეგობრისაგან შეიძლება ემართოს: დღემდე ვერ შევსძელი დამეწერა ივ. ჯავახიშვილის შესახებ განზრახული ორი საკითხიდან ვერც ერთი.

1. ივ. ჯავახიშვილი, როგორც საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მკვლევარი

და 2. ჩემი მოგონებანი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმ მომენტებისა თუ ეპიზოდების შესახებ, რომელთა მომსწრე და მონაწილე ვარ"

ახლაც, მას მერმე თორმეტიოდე წლის შემდეგაც ამ სიტყვებს ვიმეორებ, როგორც, ჯერ კიდევ გაუნაღდებელ დაპირებას, რისი შესრულების იმედს, ცხადია, ვერასოდეს ვერ შეველევი.

მაინც აქ მინდა შევჩერდე მოგონებათა ორიოდე ეპიზოდზე, რაზედაც მაშინაც მქონდა საუბარი და რაც თავის დროზე დღიურებშიაც მაქვს ჩაწერილი.

პირველი ლექცია ივ. ჯავახიშვილისა მოვისმინე 1922 წ. ნოემბერს. დილას გაზეთიდან გავიგეთ, რომ იგი საჯარო ლექციას წაიკითხავდა ქართველი უდების შესახებ. მამაჩემი თბილისში იყო და მას არ უნდოდა გაეშვა შემთხვევა ენახა და მოესმინა მისთვის.

წინა დღეებში იგი უნივერსიტეტში აპირებდა წასვლას, რათა შესულიყო მის აუდიტორიაში და სტუდენტებთან ერთად მოესმინა მისი ლექცია. მაგრამ ეს მე არ ვურჩიე: გრძელ წვერიანი, ჩოხაში გამოწყობილი, ზედაც მოზრდილი სატევრიანი კაცის აუდიტორიაში შესვლას შეეძლო ზოგიერთი სტუდენტის მხრივ არასასურველი რეაგირება გამოეწვია. დამიჯერა.

ახლა, რაკი ქალაქში იყო საჯარო ლექცია გამოცხადებული, ჩვენ გადავწყვიტეთ ორივე ერთად წავსულიყავით. ადრეც მივედით. დარბაზი ხალხით ივსებოდა. ჩოხიანი და სატევრიანი მაინც არავინ ჩანდა მამაჩემს გარდა და მე მას რაც შემეძლო ვეფარებოდი... რომ ხალხს მისთვის, ზედმეტი ყურადღება არ მიექცია.

მალე ჩვენ ერთი ჩემი კოლეგა შემოგვიერთდა. ორივენი მათემატიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები ვიყავით.

ზუსტად დანიშნულ დროზე დარბაზში შემოვიდა ივ. ჯავახიშვილი. მან პორთფელი მაგიდაზე დადო და ქაღალდები ამოალაგა...

იმ დღეს მამამ ორი შენიშვნა მომცა.

ერთი, თვით ლექციის მიმდინარეობის დროს; რატომ არ იწერ, ხომ შეიძლება ზოგი რამ მაინც დაგავიწყდესო. მეორე, როდესაც უკვე ქუჩაში ვიყავით; ეს ჩემს კოლეგას შეეხებოდა. ამისთანა მეგობარი არ გინდა; ლექციის დროს ხშირად გელაპარაკებოდა და გაცდენდა. ივანე ჯავახიშვილის ლექციაზე უფრო საინტერესო არ უნდა ეთქვა და კიდევაც რაიმე სათქმელი ქონოდა მერმე ვერ მოასწრებდაო?!

შინისკენ ნელა მივდიოდით. მამა თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა: ექვთიმე თაყაიშვილს საკმაოდ კარგად ვიცნობდი. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი სულ სხვა არის. მისი წიგნებიც განცვიფრებას იწვევენ და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენენო.

მერმე მკითხა: უნივერსიტეტში თუ ესწრები მის ლექციებსო.

— არა, ჩვენთან ის არ კითხულობს...

ეწყინა. მე შევპირდი ამიერიდან დავესწრებოდი. ის იმ აზრისა იყო, რომ ქართველი ერის ისტორია ყველა ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდეს.

— მისი წიგნები ყველა გაქვს?

— არა...

მალე წიგნის მაღაზიას მივუახლოვდით. შევედით. მოიკითხა ივანე ჯავახიშვილის წიგნები. არც ერთი არ ქონდათ. ერთხანს ხმა არ ამოუღია. მოიღუშა. მაინც რამდენიმე წიგნი იყიდა...

მალე მე მათემატიკურიდან (სადაც ლექციები თითქმის მხოლოდ დილის საათებში იკითხებოდა და მე სამსახურისა გამო ისინი მიცდებოდა) სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე გადავედი. აქ ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კურსს კითხულობდა. მე ხშირად ვესწრებოდი აგრეთვე ქართველი ერის ისტორიის კურსისა და სხვ. მის ლექციებს. მეორე კურსის სტუდენტს უკვე თითქმის ყველა მისი წიგნი მქონდა...

1926 — 1928 წწ. საქართველოს სსრ ცენტრარქივში ვმუშაობდი. ქართული სტამბური წიგნისა და ჟურნალისტიკის საკითხებს ვსწავლობდი. კავკასიის საცენზურო კომიტეტისა და ბეჭდვითი სიტყვის თბილისის კომიტეტის ფონდებს ვეცნობოდი. აქ გამოვავლინე ერთი „საქმე“.

ეს იყო ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის „Политическое и социальное движение в Грузии в XXI в. (СПБ., 1906, изд. „Сакартвело“) ცენზურის მიერ აკრძალვის შესახებ მიმოწერა. აქ ივ. ჯავახიშვილი დახასიათებული იყო როგორც ქართული ნაციონალური მოძრაობის (საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის) ერთ-ერთი მეთაური და სულისჩამდგმელი.

ეს მე ვაცნობე თვით ივ. ჯავახიშვილს. რამდენიმე დღის შემდეგ დანიშნულ დროზე მობრძანდა. „საქმე“ სამუშაო დარბაზში მაგიდაზე იდვა. კარგა ხანს ეცნობოდა. წასვლისას დამემშვიდობა და მითხრა: მეტისმეტი ყურადღება მიუქცევიათო... თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რომ ამ მასალის გაცნობის საშუალება მომეცითო.

ივ. ჯავახიშვილი მე ხშირად მიწევდა კონსულტაციას ჩემს ცალკე წიგნად 1929 წელს გამოცემულ პირველ ნაშრომზე — „ქართული წიგნი 1629 — 1929 წწ.“, — მუშაობის პროცესში. სწორედ ამ წიგნში ჰპოვა ასახვა ივ. ჯავახიშვილის შესახებ ხსენებულმა საცენზურო არქივის მასალამ[4]..

შემდეგ პროფ. ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად იგი ამ წიგნის ფაქტიური რედაქტორი იყო...

---

[4] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი, 1929, თბ., გვ. 267.

1930 წლის შემოდგომაა. მამა თბილისში ჩამოვიდა: მისთვის ორი ფრიად სასიხარულო მოვლენის გამო.

1. მან სოფელში ფოსტით მიიღო 1929 წელს წიგნად გამოცემული ჩემი პირველი ნაშრომი — „ქართული წიგნი. 1629—1929“. ისტორიულ-სტატისტიკური გამოკვლევა.

2. გაიგო რომ მე უკვე უნივერსიტეტის ბაზაზე წარმოქმნილი ორივე ინსტიტუტის ლექტორად ვიყავი მიწვეული.

მას მერმე რაც ყოველივე დეტალურად გამომკითხა, მტკიცედ განაცხადა: ივ. ჯავახიშვილთან და ფ. გოგიჩაიშვილთან უნდა მივიდე და მადლობა ვუთხრაო.

— ეს წიგნი ხომ მათი ხელმძღვანელობით დასწერე და მათივე დახმარებით დაბეჭდე და როგორ შეიძლება შენს ასეთ მასწავლებლებს მე პირადად არ ვიცნობდეო. ახლა შენც მასწავლებელი ხარ, მაგრამ ისინი მაინც შენი მასწავლებლები არიანო და სხვ. და სხვ.

უნდა მოგახსენოთ, ცოტა გოროზი კაცი იყო და დიდი ხნის განმავლობაში თემის თავკაცად (მამასახლისად) ნამყოფს რაღაცნაირი შეუვალობის ელფერი იცავდა.

არ დაიშალა. დავეთანხმე. მაგრამ ახლა თურმე სხვა განსაცდელი მომელოდა. ხელცარიელი როგორ უნდა მივიდეო... როგორც იქნა ამ განზრახვაზე ხელი ავაღებინეთ. მარტო წავიდა. მე ისე ვღელავდი რომ ბინაში ვერ გავჩერდი. გვიან დავბრუნდი. მამა უკვე სახლში დამიხვდა.

თვალებგაბრწყინებულს ეტყობოდა, აღფრთოვანებული იყო. მე მაინც გულისფანცქალით მივუახლოვდი და სმენად გადავიქეცი. ნება-ნებაზე დაიწყო. ჩანდა, ჩემს მოსვლამდეც ბევრი რამ ეთქვა შინაურებისათვის. ახლა უფრო მოფიქრებულ სიტყვებს ეძებდა...

— კარი თვითონ ბატონმა ივანემ გამიღო... მე უფრო იმის ფიქრში ვიყავი, ვაი თუ შენ არც ახსოვხარ, არც შენი სახელი და გვარი ახსოვს და, მაშინ, რაღა უნდა მექნა, რა უნდა მეთქვაო.

როდესაც ვუთხარი: პაატა გუგუშვილის მამა ვარ...

მეტის თქმა არ დამაცალა და მყისვე მკითხა: „პაატა ცუდად ხომ არ ბრძანდება, რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეემთხვაო?“

მამა შეჩერდა და მერე განაგრძო: ეს რაღაც მოულოდნელი და საოცარი სიტყვები იყო. მე ვატყობდი, რომ მაშინ უფრო მაღალი გავხდი და ფეხებზედაც უფრო მაგრად ვიგრძენი თავი... შინ შემიპატიჟა. მის სამუშაო ოთახში შემიყვანა...

— ამის მერმე მხოლოდ ის მაშინებდა, ბევრი დრო არ წამერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ელექტრონული ბიბლიოთეკა

თმია. გაეღიმა შენს მოკრძალებაზე, როდესაც ვუთხარი რომ მასთან არ მიშვებდი და ისიც, რომ შენ არ წამომყევი...

— სოფლის ყოფაცხოვრების ამბები გამომკითხა და ამ საუბრის დროს სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი, რომ ხელცარიელი წამოვედი და რაიმე სამახსოვრო საჩუქარი არ მქონდა წამოღებული. წამოსვლისას აზრად მომივიდა: ჩემი სატევარი მეჩუქებია და კიდევაც შევიხსენი ქამარი: „ნება მიბოძეთ ეს სატევარი მოგართვათ აღსანიშნავად დიდი მადლიერების გრძნობისა...“.

სიტყვა არ დამამთავრებია. შორს დაიჭირა. ის კი მოეწონა რომ სატევარი ვსთქვი და არა ხანჯალი. ესაა სწორედ ნამდვილი ქართული, სიტყვა შეტევიდან წამომდგარი... ხანჯალი კი არაბულია და არა ქართულიო, ამიხსნა.

— ეს განმარტება ჩემთვის უფრო ძვირფასი საჩუქარია, ვინემ ეს სატევარი და ძალიან გთხოვთ მიიღოთ..., კიდევ მივმართე... მაგრამ არ დაყაბულდა.

— კიდევაც რომ მივიღო, უსატევროდ აბა როგორ გაივლით, ეს ხომ ჩოხის, ამ მშვენიერი ქართული კოსტიუმის აუცილებელი ნაწილიაო...

— დიდად ნასიამოვნები ვარ ჩემო ბატონო, რომ მინახულეთ, განაგრძო მან.. ცუდ გუნებაზე ვიყავი და ფრიად მეამა, რომ თქვენი სახით სატევრიან ქართველ კაცთან მქონდა საინტერესო შეხვედრა და საუბარი, ბატონ პაატას სთხოვეთ, როდესაც დრო ექნება მინახულოს, ნუ დამერიდებაო.

ასე უთქვამს მიღებისა და საუბრის დასასრულს ივ. ჯავახიშვილს.

ამ დროიდან მამაჩემი, ცხადია, კიდევ უფრო მეტად ეტრფოდა მას და არ იღლებოდა მის შესახებ საუბრით, მის წიგნებში წაკითხული ამბების თხრობით.. ამ მხრივ მას სოფელში, განსაკუთრებით ზამთრობით, ყოველთვის ყავდა პატარა აუდიტორია.

ამ ეპიზოდზე უმთავრესად იმისთვის შევჩერდი, რათა აღმენიშნა, თუ რაოდენ პოპულარული იყო და უყვარდა ქართველ ხალხს, შორეული კუთხეების სოფლებშიაც კი, ივ. ჯავახიშვილი.

მე არ მეგულება ქართველი მეცნიერი, რომელსაც ასეთი დიდი სახელი და პატივისცემა ქონდეს თავის ხალხში მოხვეჭილი,— თანაც ისე, რომ ამისთვის არც თვითონ მას და არც არავის სხვას არავითარი ხელოვნური ღონისძიებისათვის არ მიუმართავს.

*

* *

ახლა საჭიროა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის უაღრესად პრინციპული იყო ცხოვრებისა თუ მეცნიერების, პრაქტიკისა თუ თეორიის სადავო საკითხებში.

ქართველი ერის ისტორიის დაწერა მისთვის არა სამსახურის, არა ხელობისა და დავალების, არამედ სასიცოცხლო მოწოდებისა და ღირსების საქმე იყო.

იგი მთელი მისი არსებით ეკუთვნოდა ამ მოწოდებას და აქ მას, არა თუ მარტოოდენ პატრიოტული გრძნობების გავლენით, არამედ თვით ნივთთა ბუნების შთაგონებით ფიქრადაც არ შეეძლო რაიმე დათმობაზე წასვლა.

ისე, პატრიოტობა აბა რა სათქმელია... ქართველი ხალხის თვით ისტორიამ, ესოდენ გმირულმა და საოცარმა, როდესაც ის შეისწავლა არა ქართველი მეცნიერიც კი, მაგალითად, ფრანგი აკადემიკოსი მარი ფელიქსეტ ბ რ ო ს ე ქართველი ხალხის ნამდვილ პატრიოტად აქცია...

ქართული კულტურის ისტორიის კვლევა-ძიებაში ივ. ჯავახიშვილის მიღწევები, ცხადია, შეპირობებული იყო საერთოდ თავისი დროის მეცნიერების და, კერძოდ, ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის არსებული, დიდი ზომით მისივე მეოხებით მიღწეული დონით, საკუთრად მისი საოცარი ერუდიციით და შრომის დიდი ნაყოფიერებით.

მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ მხრივ, გასაგებია, დიდი წარმატებებია მოპოვებული. მისი რიგი მეცნიერული შეხედულება და დებულება ახლა სხვა ასპექტსა და სხვა მხრივაცაა გააზრებული და გაშუქებული.

მაინც, თითქოს საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ყოველი ასეთი აზრი და შეხედულებაც ყოველთვის ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის და ღირსების დონეზე არის შემუშავებული.

ამ ღირსების თუნდაც ოდნავ შელახვას ის არავის აპატიებდა და ქართველი ხალხის და ქართული კულტურის შინაური თუ გარეშე მტერი ყოველთვის საკუთარ, პირად, მტრად მიაჩნდა; ამ მხრივ, — არასოდეს და არავითარ კომპრომისზე წასვლა მას არ შეეძლო...

ამასთანავე ივანე ჯავახიშვილი რჩება და ყოველთვის იქნება, როგორც დიდებული და სწორუპოვარი მკვლევარი, რომელიც არა მხოლოდ კალმით, არამედ თითქოს რაინდის მახვილით და ფარით იბრძოდა საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების მაღალი და პრინციპული ტრადიციის დამკვიდრებისათვის.

ივ. ჯავახიშვილი უაღრესად დიდი ერუდიციის, შორსმჭვრეტელი და ღრმად ჩახედული მკვლევარი იყო. იგი ხშირად მთელ „არქეოლოგიურ გათხრებს" აკეთებდა ძველი საისტორიო მწერლობის ძეგლებში, მარჯვედ იყენებდა მაგალითად, სტატისტიკაში, ე. წ. არაპირდაპირი გამოანგარიშების ხერხებსა და მეთოდებს, რათა დაედგინა შორეული ისტორიული წარსულის მისთვის საინტერესო ფაქტები.

აი, არაპირდაპირი გამოანგარიშების მშვენიერი ნიმუშის ერთი მაგალითი.

1254 წ. მონღოლთა მიერ საქართველოში წარმოებული აღწერის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ლაშქრად გასაყვანი (15-დან 60 წლამდე) ასაკის მამაკაცთა რაოდენობის გამორკვევა. კომლობრივ-ქონებრივ საფუძველზე აგებული სამხედრო ბეგარის შესაბამისად, ქართველი ჟამთააღმწერლის სიტყვით მონღოლებმა, „ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა (ფუძისა) მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან"[5], ხოლო ამ წესის შესაბამისად აღთვალავის (აღწერის) შედეგად გამოირკვა, რომ საქართველოს „ცხრა დუმანი მხედარი თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი" (=90.000) უნდა გამოეყვანა[6].

ამ მონაცემთა საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს: „რაკი საქართველოს სახელმწიფოთგან გამოსაყვანი 90.000 მეომარი შემდგარა, მაშასადამე, მთელს სამეფოში მაშინ თვითეულ მხედარზე სრული ფუძის მქონებელი ცხრა კომლი უანგარიშიათ, ე. ი. სულ 810.000 სრულფუძიანი მოსახლე ყოფილა. კომლზე რომ 5 სული ვივარაუდოთ 4.050.000 სული გამოვა. ამ 90.000-ში, როგორც ვიცით, მამრობითი სქესის მოსახლეობა 15 წლამდე და 60 წელზე უფროსი აღწერაში შეტანილი არ იყო. თუ მათაც ვივარაუდებთ და მივათვლით, მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს მთელი

---

[5] „ქართლის ცხოვრება", 1849, სპბ. I, გვ. 386 — 387; 1959 წ. გამოც. II, გვ. 235

[6] იქვე.

მოსახლეობა შესაძლებელია, დაახლოებით 4,5 —5 მილიონამდე მაინც ვიანგარიშოთო"[7].

ასეთივე ხერხით, არაპირდაპირი გამოანგარიშებით, ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური ვითარების მაჩვენებელი რიგი ფრიად საინტერესო ცნობა[8].

ასევე დიდძალი ისტორიული და შედარებითი, ადგილობრივი და უცხოური წყაროების, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლის საფუძველზე მან გახსნა ძველი ქართული ფეოდალის სისტემის საფუძველი, რაც ათეული წლების მანძილზე დაუცხრომელი დავის საგანს წარმოადგენდა[9].

* * *

1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ივ. ჯავახიშვილის, ფ. გოგიჩაიშვილის, მ. პოლიევქტოვისა და სხვ. წარდგინებით დისერტაციის დაცვის გარეშე — honoris causa — მომანიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი; ასეთი მხოლოდ ორიოდე შემთხვევა იყო ჩვენს უნივერსიტეტში.

მალე სადოქტორო დისერტაცია წარვადგინე. ჩემი ოფიციალური რეცენზენტები და ოპონენტები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი.

ახლა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ ჩემი მეცნიერული კვლევა-ძიების მთავარი მიმართულება, — საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19 — 20 საუკუნეებში,— არსებითად განისაზღვრა ჩემი მასწავლებლების ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის შთამაგონებელ გარემოცვაში.

ივ. ჯავახიშვილი დაბეჯითებით მირჩევდა, რათა ხელი მომეკიდა მე-19 საუკუნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემატური კვლევა-ძიებისათვის, და მიხატავდა იმ დიდ ინტერესს, რასაც ეს ეპოქა წარმოადგენდა, რამდენადაც აქ ერთმანეთის პარალელურად და ერთდროულად შეიძლებოდა დაკვირვებისა, შესწავლისა და მეცნიერული ანალიზის ობიექტი გამხდარიყო არქაული-

[7] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", III, 54—56.

[8] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19—20 სს. მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 663—664.

[9] იქვე, ტ. II, გვ. 43 — 51.

დან მოყოლებული ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები თავისი შესაბამისი ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური ყოფიერების ყოველგვარი გადმონაშთებით, ინსტიტუტებითა და დანაშრევებით.

მე გამიტაცა ამ იდეამ და სადოქტორო დისერტაცია დავწერე სწორედ აქ არსებულ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და მორალურ ფორმებსა და ნორმებში ფრიად ძლიერი ძვრების მომასწავებელი მოვლენის, სახელდობრ საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაციის შესახებ.

1937—1938 წწ. სულ ხუთიოდე შეხვედრა და საუბარი მქონდა ივანე ჯავახიშვილთან. ერთ-ერთი ასეთი საუბარი სამიოდე საათი გაგრძელდა და მაშინ საბოლოოდ დაზუსტდა ჩემი სადოქტორო დისერტაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები და მასთან დაკავშირებული რიგი პრობლემური საკითხის გაშუქების აუცილებლობა.

ამ დროიდან კარგა ხანი გავიდა და სიმონ ჯანაშიამ მე თავისთან — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში — მიხმო და გამომიცხადა, რომ ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, რასაც თვითონ იგი იზიარებს, და რაც ზემდგომ ორგანოებთანაც უკვე შეთანხმებულია, სასურველია და საჭიროა მე ვიმუშაო „საქართველოს ისტორიის კურსის“ შემდგენ ავტორთა კოლექტივში; ამ კურსისათვის დავწერო სახელდობრ: „მე-19 საუკუნე“.

ავტორთა შორის საგანი (სამუშაო) პირვანდელი ვარაუდით ასე ნაწილდებოდა: ს. ჯანაშია (უძვ. დროიდან 11 საუკუნემდე), ივ. ჯავახიშვილი (11—15 სს.). ნ. ბერძენიშვილი (16—18 სს.), პ. გუგუშვილი (მე-19 ს.) და გ. ხაჭაპურიძე (მე-20 ს). მალე ამ საკითხზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გამომიძახა და დავალება მომცა, რომ, საჭირო დროის განმავლობაში, მთელი ჩემი მუშაობა ხსენებული თემით განმესაზღვრა.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას საკმაოდ რთული და გრძელი ისტორია აქვს, რაზედაც, იქნებ, სხვა დროს მომიხდეს ჩემი მოგონებების გამოქვეყნება. ახლა ამაზე საუბარს არ გავაგრძელებ.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოფიციალურ რეცენზენტთაგან თავისი დასკვნა უწინარეს ივანე ჯავახიშვილმა წარადგინა უნივერსიტეტში.

რეცენზენტად დანიშვნიდან ამ დრომდე მე მას საგანგებოდ ვემალებოდი, რათა ჩემდა უნებურად არ მეგრძნობინებია, არ მენიშნებია, რომ მე მისი დასკვნის მოლოდინში ვარ. მით უფრო, რომ მე ფ. გოგიჩაიშვილისაგან ვიცოდი მის მიერ ამის თაობაზე რექტორისათვის ნათქვამი სიტყვები:

„ამ დავალებაზე ვერც უარს ეტყვი და, ამასთანავე, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და გადაუდებელი სამუშაოებით გადატვირთულობისა გამო, სამწუხაროდ, ვერც მალე გავაკეთებო“...

ბინაში დამირეკეს: უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. ა. ხარაძე გიბარებსო. მივედი. როგორც კი კარი შევაღე იგი ფეხზე წამოიჭრა და გულითადად შემხვდა: ბატონ ივანე ჯავახიშვილის დასკვნა მივიღეთ. სულ ორიოდე გვერდზე. დიდებულია. ეს შესანიშნავი გამარჯვება მომილოცავსო.

ჩემს სიტყვებზე, რომ ჯერ მოლოცვა ნაადრევია, რამდენადაც დანარჩენი ორი ოფიციალური რეცენზენტის დასკვნა არ მიგიღიათ და ვინ უწყის...

მან გაიღიმა და მიპასუხა: რა თქმა უნდა, დანარჩენიც საინტერესოა, მაგრამ ჩვენთვის ივანე ჯავახიშვილის ასეთი დასკვნის შემდეგ საკითხი უკვე გადაწყვეტილიაო...

სადოქტორო დისერტაციის დაცვის (16.6.40) შემდეგ ივ. ჯავახიშვილის ლექციებს კვლავ წინა რიგებზე მჯდარი ვისმენდი. ვაგლახ! ეს სიტკბო და სიამოვნება უკვე დიდხანს არ გაგრძელებულა...

მაშინაც მრავალრიცხოვან აუდიტორიაში მის ლექციას ვისმენდი...

ქვემოთ მომყავს 1940 წლის 18 ნოემბერს დღიურში ჩაწერილი სიტყვები.

„ამ საღამოს, ხალხური ხელოვნების სახლში, ლექციის კითხვის დროს 9 საათსა და 35 წუთზე გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ეკონომისტი, აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი დამაარსებელთაგანი, ჩემი უძვირფასესი და დაუეიწყარი მასწავლებელი და მეგობარი.

გარდაიცვალა სახელოვანად და იდეალურად, თუ შეიძლება სიკვდილი იყოს საერთოდ იდეალური. ის მოკვდა მეცნიერული მოღვაწეობის პოსტზე — კათედრაზე, ლექციის კითხვის დროს“.

-95
ფ. /32.

ეროვნული ბიბლიოთეკა